ვსწავლობ ჩვენს სარწმუნოებას

# ალლაჰის ლამაზი სახელები ვიცი



გამომცემლობა თიმაში ბავშვები

# ალლაჰის ლამაზი სახელები ვიცი

მწერალი:
კადრიე-ოზერ ბალდიკ

მხატვარი:
აჰმეთ ქესგინ





გამომცემელი:
ოსმან ოქჩუ

გამომცემლობის ხელმძღვანელი:
სავაშ ოზდემირ

დიზაინი:
ქენან ოზჯან

muslim GEORGIA international charity foundation

გამომცემლობა
თიმაში ბავშვები





გაზაფხულის ერთ–ერთი ლამაზი დღე იყო. ხეები გზის გასწვრივ მწკრივად იყო ჩაყოლებული. ხეების უკან მზესუმზირები მზეს შესცქეროდნენ. გზა რაც უფრო გრძელდებოდა, "ნეტავ გზა არ დამთავრდებოდეს!" ჩაილაპარაკებდა გამვლელი.

ჩიდები და მისი ოჯახიც ასე ამბობდნენ. ბედნიერები იყვნენ, რომ ამ ლამაზ გზაზე მანქანით მიდიოდნენ. ერთი სული ჰქონდათ, რომ ჩასულიყვნენ მშობლიურ ქალაქში, სადაც დიდი ხანი არ იყვნენ ნამყოფი.



ყველას საყვარელი ადამიანების ხილვა სურდა. მანქანა გზაზე მიდიოდა და გაზაფხული მთელი თავისი სილამაზით მანქანას ავსებდა.

ჩიდემმა მანქანის მინიდან გარეთ გაიხედა. ყველაფერი ნათელი, ცოცხალი და ფერადი იყო. მზე თავის ბლიერ სხივებს გზავნიდა. მზის სხივი ყველაფერს აფერადებდა. ამის წყალობით იმოსებოდნენ გვირილები თეთრად, ხოლო ვარდები – წითლად.

ჩიდემმა მოშორებით, ზღვაზე წყლის მუშტები შეამჩნია.
ყოველი
წყლის
მუშტი
პატარა
მზესავით
ანათებდა.





ჩიტები კი როგორც ყოველთვის, ჭიკჭიკებდნენ. ყველაზე სასიამოვნო ხმა მათი ჭიკჭიკის ხმა იყო. ჩიტების ჭიკჭიკს წყლის შხუილიც ერთვებოდა. წყლის ხმა მშვიდი და სასიამოვნო იყო. ამ ლამაზმა სურათმა ჩიდემს თვალები გაუბრწყინა.

ეს მამამ შეამჩნია და ჩიდემს უთხრა:
–ბუნება ადამიანის სულს ამშვიდებს, ხომ ასეა?

შემდეგ კი განაგრძო:



muslimgeorgia



–ამ ლამაზ სურათზე ყველაფერი ერთმანეთს ავსებს. არც ერთი ხმა ცუდად არ გვხვდება ყურში. არც ერთი ფერი ჩვენს თვალში ცუდად არ გამოიყურება.

ჩიდემის დედასაც სურდა საუბარში ჩართვა:

–ამ ხედში სუნიც სხვა სილამაზეს ქმნის. მიწა, მდელო, ყვავილები და ბალახები მუდამ სასიამოვნო სუნს წარმოქმნიან. ალბათ ეს სასიამოვნო სუნი ქარსაც ამედნიერებს, რადგან ეს სასიამოვნი სუნი მას მოაქვს ჩვენამდე.







ამ სასიამოვნო საუბარში აგრძელებდნენ გზას. ჩიდემის სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა.

გარკვეული დრო აგრძელებდნენ მგზავრობას. მოგვიანებით ჩიდემის მშობლებმა ერთ წყაროსთან შეისვენეს. ეს ის ადგილი იყო, სადაც მეცხვარეები ცხვრებს აბალახებდნენ.

ჩიდემი თავდაპირველად ბატკნებს მოეფერა. უკან გაედევნა და ცდილობდა დაეჭირა. შემდეგ კი ძროხებსა და ცხენებს შეხედა. რა თქმა უნდა შორიდან. ფეხბურთის მოედანივით ადგილას ირბინა და ითამაშა. ბოლოს კი მამასთან მივიდა აქოშინებული.


ჭიკ...
ჭიკ...
ჭიკ...
მეეე!
მუუ!



მამამ საუბარი მორაკრაკე წყლის
თანხლებით გააგრძელა:
–ჩემო საყვარელო ჩიდემ, აი ამას შეხედე!
ჩიტი ლამაზი ფრთებით დაფრინავს.
აშკარაა, რომ პატარა ჩიტს წვრილი და
ლამაზი ხმა ექნება. ჩიტი "ჭიკ –ჭიკ
–ჭიკ..." ჭიკჭიკებს. დიდი ძროხები მდელოზე
ბალახობენ. აშკარაა რომ ამ შესახედაობის
პატრონს ბოხი ხმა ექნება. ძროხა ბოხი
ხმით გამოსცემს "მუუ მუუ!".







muslimgeorgia

ახლა კი ამ შორეულ კუთხეს შეხედე. ყურძნის მტევნები მოჩანს. ჩვენი თვალებით ვხედავთ მათ. ყურძნის პატარა მარცვლები შეერთებულან და მტევანი შეუქმნიათ. აშკარაა, რომ ამ მტევანს თაფლის გემო ექნება. ჩვენი ენა ყურძნის თაფლის მაგვარ გემოს შეიგრძნობს.

აი სწორედ ასეთი სილამაზეებითაა მორთული სამყაროს ყველა კუთხე. ეს სამყარო სასახლეს ჰგავს, რომელიც სილამაზეებითაა შემკული!







ჩიდემს მანამდე ესწავლა, რომ ეს სამყარო სასახლეს ჰგავდა და მამას უთხრა:

–მამიკო მე ეს ვიცი. ნებას თუ მომცემ, ამას მე ავხსნი.

–რა თქმა უნდა, ჩემო პატარავ, –უთხრა მამამ.

–ესე იგი, ეს სამყარო სასახლეს ჰგავს. ჩვენ ამას სამყაროს სასახლეს ვუწოდებთ. ამ სასახლის ღუმელი მზეა. ნახშირი მასშია. ამის წყალობით გვითბება სული.

მდელო სამყაროს
სასახლის ხალიჩაა.
ისევე, როგორც
ჩვენი სახლის
ხალიჩა. მდელო
მიწაზე რბილია.
მდელოზე დაწოლა და ცის
ყურება ძალიან სასიამოვნოა.





muslim georgia
muslim georgia international charity foundation

ჩიდემის მოყოლილმა დედა ძალიან გაახარა:

–ყოჩაღ ჩემო გოგონა, –უთხრა და გააგრძელა:

–რა თქმა უნდა ყველა სახლს ჰყავს პატრონი და ოსტატი. სამყაროს სასახლესაც ჰყავს თავისი პატრონი და ოსტატი. სამყაროს სასახლე ჩვენ ღმერთზე მოგვითხრობს. სამყაროს სასახლეს რომ შევხედავთ, მივხვდებით მის სიდიადეს.

აი ნახე! ყველაფერი მტვრიანდება. გარემო ბინძურდება. ქარი კი ქრის და მტვერსასრუტივით ასუფთავებს ყველაფერს. დარჩენილ მტვერს კი წვიმის წვეთები წმენდს. ესე იგი სამყაროს სასახლის მბრძანებელი სუფთაა და სისუფთავე უყვარს. ის არ კმარა, რომ მას უყვარს, სხვებსაც აყვარებს.

muslim georgia



ახლა კი აქეთ გაიხედე.
თითქოს დღესასწაულია.
ყველაფერი მორთულია.
ხეები ტოტებით,
ტოტები კი მწვანე
ფოთლებითაა მორთული.
მწვანე ფოთლებს ხილი
ამშვენებს. მიწა ფერადი
მცენარეებითაა მორთული.
ჰაერს თეთრი ღრუბლები
და ჩიტები ამშვენებს, ცას
კი – ვარსკვლავები.







muslim georgia

მხოლოდ ისინი? ჩვენც შემოსილნი ვართ. ჩემო ჩიდემ, დაფიქრდი აბა, ჩვენ როგორ ვართ შემოსილნი?

ჩიდემი ცოტა ხანი ფიქრობდა და უცებ წამოიძახა:

–მივხვდი. ჩვენ ლამაზი სახით ვართ შემოსილნი!

–ყოჩაღ. სახე ჩვენი ყველაზე ლამაზი სამოსელია. გამოიცანი! –უთხრა მამამ.

ჩვენი თვალები წამწამებითა და წარბებით არიან შემოსილნი, პირი კი – ტუჩებით. ალლაჰი მოსავს. უყვარს შემოსვა. გაჩენისას ყველაფერს რთავს.





muslim georgia

ამ საუბარმა დედას ჩიდემის პაცარაობა გაახსენა. თვალები შორს მიაპყრო. შემდეგ კი ჩიდემს ჩახედა თვალებში. ჩიდემი დაინტერესებული ელოდებოდა, დედა რას ეტყოდა:

–დღევანდელი დღესავით მახსოვს. ისეთივე ლამაზი დღე იყო, როგორც დღეს. პირველად გაახილე თვალები. რა უცოდველი გამოხედვა გქონდა. მკერდში ჩაგიკარი და გამოგკოცნე. ძალიან გშიოდა.

ამ ლამაზ სიტყვებს სიჩუმე მოჰყვა. მოგვიანებით ჩიდემმა დედის თვალის გუგებში საკუთარი თავი დანახა. ცოტა ხანი ასე უყურებდნენ ერთმანეთს.





muslim georgia

ჩიდემმა ვერ მოითმინდა და დედას მაგრად ჩაეხუტა. დედის სითბომ სული გაუთბო. დედას ყვავილივით სასიამოვნო სურნელი ჰქონდა. ყვავილებსაც კარგი სუნი ჰქონდათ, მაგრამ დედის სურნელი სულ სხვა იყო. კიდევ კარგი დედა მის გვერდით იყო.

ჩიდემმა კიდევ ართხელ ღრმად ჩაისუნთქა. ფილტვების გავსება იგრძნო. ერთი წამით ისიც გაიფიქრა, რომ ამ ქვეყანაზე სამოთხეში ცხოვრობდა.



დედამ საუბარი გააგრძელა:



muslim georgia



–ასეა ჩემო ჩიტებ, ისევე როგორც კუჭი საკვებით ნაყრდება, გულიც სიყვარულით ნაყრდება. ეს ყველაფერი ალლაჰის წყალობით ხდება, რომელიც გვანაყრებს. ალლაჰს დანაყრება უყვარს!

თანაც მხოლოდ ადამიანებს არა, ხეებსაც ანაყრებს. ხეები მიწიდან მიღებული საკვებით ნაყრდებიან. ფუტკრები ყვავილისგან მიღებული ნექტარით იკვებებიან. მუხლუხები კი ხის ფოთლებით იკვებებიან.

ესე იგი ალლაჰი ანაყრებს. ის ყველაფერს კვებავს, რასაც თვალით ვხედავთ.



დედა ჩიტებს ამ ლამაზ სიტყვებს რომ ეუბნებოდა, მამამ ჩანთიდან ლექსის წიგნი ამოიღო. იმ გვერდზე გადაშალა, სადაც ჩანიშნული ჰქონდა და კითხვა დაიწყო. ჩიტები და დედა ყურადღებით უსმენდნენ:





muslim georgia
muslim international GEORGIA UO

ეს ხეები ფოთოლ, ფოთოლ,
ეს მიწები ფერად, ფერად,
ეს პეპლები ნახატ, ნახატ,
შენ მოხატე, ღმერთო!





ეს დღეები ღრუბელ, ღრუბელ,
ღამეები ვარსკვლავებით,
ეს მინდვრები ყვავილ, ყვავილ,
შენ შეამკე, ღმერთო!



წვრილი, წვრილი წვიმის წვეთით,
ტკბილი, ტკბილი ნიავით,
დედამიწის მტვერს და მიწას
ასუფთავებ ღმერთო!

პატარებს და ზრდასრულებს,
ცხოველსა თუ მცენარეს,
ნაირ-ნაირი საკვებით
შენ ანაყრებ, ღმერთო!



–აი ასე ჩემო პაწარავ. სამყაროს სასახლის მბრძანებელი, ალლაჰი, სუფთაა და ასუფთავებს. შემმოსველია, დამნაყრებელია. ამიტომაც, ჩვენც სუფთა უნდა ვიყოთ, გარემო არ დავანაგვიანოთ. შევმოსოთ, არ დავამახინჯოთ. დავანაყროთ ჩვენ გარშემო ისინი, ვისაც დახმარება სჭირდებათ, – უთხრა მამამ.

ჩიდემს ისეთი გამომეტყველება ჰქონდა, რომ იცოდა რა უნდა გაეკეთებინა და უთხრა:



–რა თქმა უნდა მამიკო.

ყველა ერთად მხიარულად წავიდნენ მანქანისკენ. ჩიდემი თავს მედნიერად გრძნობდა, ალლაჰის ლამაზი სახელები რომ ისწავლა. უკვე დარწმუნებული იყო, რომ ყოველი ამოსუნთქვისას გაახსენდებოდა ის, ვინც კვებავს.